ახალი

ჯანთიადი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

ჯანთიადი

86 წელი თქვენთან ერთად!

2018 წელი 30 იანვარი № 1 № 8130

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

შობის წინა ღამეს, ყასაბში ვახცანგ გორგასლის სახელობის ცაძარში ჩამოაბრძანეს ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები

გვ3.

სოციალური დახმარება გრძელდება

გვ2.

ახლადაშენებულ სპორტკომპლექსში

გვ7.

რესპუბლიკური ტურნირი

გვ7.

გვ9.

სვეტიცხოვლის მარტვილობამდე



გვ2.

შეხვედრა “eptisa”-ს ექსპერტთან

გვ2.

თამაზ ტატანაშვილი კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ დაინიშნა

გვ3.

ჩვენული მანერით, განსწავლულობით ...

სამეცნიერო სესია ქართული ხალხური საკრავების შესახებ

გვ2.

გვ6.

გვ6.

წიგნებს არ ეითხულობენ?!

ანსამბლი „სასამილახვრო„ ქართლის გულში

გვ3.

სემინარი კარატეში

გვ2.

ლიდერი ახალგაზრდები ურეკში

სილამაზის კონკურსი

გვ7.

“მის კასპი 2017”

გვ7.

შეხვედრები შეხვედრები...

გვ9.

„ასე ლამაზი თუ იყო ზამთარი, არც მიფიქრია„

გვ5.

გამოიწერეთ | გამოიწერეთ

ხალხური ჯანთიადი!

ვალიანი ჩვენი მეგობარია!

სოციალური დახმარება გრძელდება

2018 წელს, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დახმარების გაცემის სამუშაო ჯგუფი აგრძელებს მოსახლეობის დახმარებას.

გასულ წელს 24 მუხლის (პროგრამა) საფუძველზე 441 672 ლარის ფარგლებში დახმარება 1235 ბენეფიციარს გაეწია, ასევე სააღდგომო საჩუქარი გადაეცა 285 დევნილ ოჯახს. სოციალურად დაუცველი 80 ბენეფიციარი კი კვირაში 6 დღეს უფასო სასადილოში ერთჯერად კვებას იღებდა, რაზეც 81 140 ლარი დაიხარჯა.

2018 წელს დახმარების 24 მუხლს კიდევ სამი მუხლი დაემატა, ამასთან გაიზარდა რამდენიმე მუხლის დაფინანსება, მუშაობს უფასო სასადილო.

ადგილობრივი ბიუჯეტის საშუალებით ვცდილობთ, მაქსიმალური დახმარება გავუწიოთ ჩვენს მოსახლეობას - აღნიშნა მერიის სოციალური დახმარების გაცემის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, მერის პირველმა მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა.

თამაზ ტატანაშვილი კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ დაინიშნა

დაბადების თარიღი: 08. 07. 1957 წ.

განათლება:
1996 - 2000 წწ. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.
1986 - 1987 წწ. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია.
1978 - 1984 წწ. უკრაინა, დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:
2017 წლის 20 დეკემბრიდან კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.
2007 - 2015 წწ. შ.პ.ს. "ბლექსი გრუპი"-ს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.
1986 - 2006 წწ. სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო.
1994 - 1997 წწ. სამთავრობო დაცვის სპეციალური სამსახური.

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული.

ლიდერი ახალგაზრდები ურეკში

ზამთრის ლიდერთა სკოლის პროგრამის ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტიდან 17 სოციალურად დაუცველმა ლიდერმა დაბა ურეკში დაისვენა. ისინი მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა და მათი ტრანსპორტირება უზრუნველყო.

პროექტს არასამთავრობო ორგანიზაცია "დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება" ახორციელებს და წარმოადგენს სოციალური პროგრამის ნაწილს. იგი ემსახურება ე.წ. off - season - ზე მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტების წახალისებას ზამთრის ბანაკის ფორმატში.

შეხვედრა "eptisa"-ს ექსპერტთან

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში,"eptisa"-ს პროექტების ციკლის მართვის ექსპერტ ენტონ ლითლისთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების ციკლის მართვის გაუმჯობესების ტექნიკური დახმარებაა. კერძოდ, ექსპერტი მუნიციპალიტეტს დაეხმარება ქალაქის გამწმენდი ნაგებობის პროექტის მომზადების საკითხებში, მიაწვდის მნიშვნელოვან მითითებებს. ასევე წინა საპროექტო, ფინანსურ - ეკონომიკურ კვლევას, პროექტის ტექნიკურ სპეციფიკას, პროექტის დიზაინის სარემონტო დოკუმენტაციის შეფასების კრიტერიუმებს.

სამეცნიერო სესია ქართული ხალხური საკრავების შესახებ

კასპის კულტურის ცენტრში, ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კავთისხევის სახლ-მუზეუმმა ჩაატარა სამეცნიერო სესია თემაზე: "ქართული ხალხური საკრავები ერის კულტურის სულიერი და მატერიალური ძეგლებია".

თემა მოამზადა და მსმენელს წარუდგინა სახლ-მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ციმი კელაპტრიშვილმა. ძველ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში საკრავთა 100-ზე მეტი დასახელებაა შემონახული. საკრავი, როგორც მატერიალური მუსიკალური კულტურის ძეგლი, მუსიკის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: თბილისის ხალხური საკრავების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ - თანამშრომლები: ქეთევან ბაიაშვილი და ეკა შოშიაშვილი, ეთნო მუსიკოსები, ქართულ ხალხურ საკრავთა ჯგუფები.

სესიის დასასრულს ნაჩვენები იქნა დოკუმენტალური ფილმი "მარადიული ჰანგების დიდოსტატი." ფილმი მიეძღვნა სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ ხელოვანს, სალამურის დიდოსტატსა და ვირტუოზ შემსრულებელს, საქართველოს სახალხო არტისტს, მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატს, ანსამბლ "რუსთავი"-ს უცვლელ სოლისტს ომარ კელაპტრიშვილს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მიეძღვნა ლევან ძამუკაშვილის ხსოვნას

სემინარი კარატეში

კასპის სპორტულ კომპლექსში ჩატარდა ტრაგიკულად დაღუპული ლევან ძამუკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სემინარი. სემინარი კარატეს მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, კარატეს საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ ჩაატარა.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

შიბის წინა დღეს, ეკლესიაში ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში ჩამოაბრძანეს ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები საქართველოს 6 თვით დაუბრუნდა

თეიმურაზ მეფის გაუტეხლობითა და ოსმალეთთან და რუსეთთან კავშირით გაცოფებულმა შაჰ-აბასმა ჯავრი მისი ოჯახის წევრებზე იყარა. თეიმურაზის ვაჟები – ლევანი და ალექსანდრე – დაასაჭურისებინა, რის შედეგად უმცროსი ვაჟი გარდაიცვალა, უფროსი კი ჭკუიდან შეიშალა. შაჰ-აბასმა 1622 წელს სიკვდილით დასაჯა ლუარსაბ მეფეც. უფრო გვიან, დიდი წამების შემდეგ, სიკვდილით დასაჯეს თეიმურაზ მეფის დედა ქეთევან დედოფალიც. გახურებული შანთებით დადაღეს და ისე გამოასალმეს წუთისოფელს (1624 წ.). ქართულმა ეკლესიამ სამშობლოსათვის წამებული დედოფალი წმინდანად აღიარა. მისმა ვაჟმა, თეიმურაზ მეფემ, რომელიც პოეტიც იყო, პოემა უძღვნა დედას – "წამება ქეთევან დედოფლისა".

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილები საქართველოს 6 თვით დაუბრუნდა.

აღნიშნული შეთანხმება ორ ქვეყანას შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგია. საქართველოს საპატრიარქოს ჩართულობით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის და საგარეო საქმეთა სამინისტროები უზრუნველყოფენ საქართველოს მასშტაბით ყველა ეპარქიაში წმინდა ნაწილების ჩაბრძანებას და მორწმუნეებს მათი მოლოცვის საშუალება ექნებათ.

აღსანიშნავია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით რესტავრირდა ქალაქ ლისაბონის გრასას მონასტრის სათავო ოთახის ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი პანო. 12 მეტრი სიგრძისა და 3 მეტრი სიმაღლის პანო, პორტუგალიური ხელოვნების ტრადიციული სტილით, მოჭიქული თიხის ფილებზე ლურჯი საღებავითაა შესრულებული; მასზე გამოსახულია ქეთევან დედოფლის ირანში ჩასვლა, წამება და შემდეგ ავგუსტინელი ბერების მიერ წმინდანის ნაწილების გადაცემა მეფე თეიმურაზისთვის. დაგეგმილ კონფერენციას პორტუგალიის წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

ისტორიული წყაროების თანახმად დედოფლის სხეულის ნაწილები საქართველოში ჩამოაბრძანეს. ისინი ალავერდის ტაძარში 1723 წლამდე ინახებოდა, შემდგომ კი დაიკარგა.

საქართველოსა და რუსეთის გარდა, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები წაიღეს ინდოეთში, გოას წმინდა ავგუსტინეს სახელობის მონასტერში, ასევე, ვატიკანში და ბელგიაში.

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს სამეცნიერო ექსპედიციები ინდოეთში სხვადასხვა დროს ეძებდნენ.

2013 წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ გოაში მდებარე ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი ძვლები სავარაუდოდ ქეთევან დედოფალს ეკუთვნოდა. ქვის სარკოფაგში აღმოჩენილი მკლავის ძვლების დნმს ანალიზმა აჩვენა, რომ დიდი ალბათობით ძვლებს ინდოეთთან კავშირი არ აქვს და ქართული წარმოშობის იყო.

ინდოეთის მხარესთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად დედოფლის წმინდა ნაწილები საქართველოში დროებით ჩამოაბრძანეს.

* * *

უსჯულო აბასმა გადაწყვიტა, რჯული გამოეცვლევინებინა ქეთევანისათვის. მისი უზნეობა და თავხედობა იქამდეც მივიდა, რომ ცოლობა სთხოვა ზნესრულ დედოფალს და ეს მოხდა სწორედ იმ დღეს, როცა წმიდანმა თავისი შვილიშვილების ბედი შეიტყო.

შაჰმა იმამ-ყული-ხანს შეუთვალა: ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენ და თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოკალიო.

შეძრწუნდა უნდილაძე, მოციქულის პირით შეუთვალა: ბერი დედაკაცი არის და ახლა ეს არ გათათრდება, რას აქნევ ამის გათათრებას, თქვენთვის სირცხვილი არისო მისი სიკვდილი.

შაჰ-აბასი გაბრაზდა, ბრძანების სასწრაფო აღსრულება უბრძანა შირაზის ხანს. ნაქართველარი შეევედრა დედოფალს, სხვის დასანახად მაინც აღიარე მაჰმადი, გულში კი ქრისტიანად დარჩიო. წმიდა ქეთევანმა შორს დაიჭირა უნდილაძის ნათქვამი და წამებისთვის განემზადა: მეუფეო ქრისტე, სიტყუაო ღვთისაო, არა შუენოდა მხევლისა შენისად უარისყოფა შენი, ნუ მიმცემ ეშმაკსა მხევალსა შენსა.

ხალხით გაჭედილ მოედანზე გაიყვანეს ქართველთა სათაყვანებელი დედოფალი, რომელსაც მგლოვიარე ქართველები მიაცილებდნენ.

ჯალათებმა მოამზადეს სპილენძის ქვაბები, დაანთეს ცეცხლი, შეაწყვეს შიგ შანთები გასახურებლად და საღღეასწაულოდ შემოსილი დედოფალი კოცონის წინ დააყენეს. მხოლოდ ერთი რამ ითხოვა წმიდა მოწამემ: დედის ნაშობნი ხართ თქვენც, ნუ შეურაცხმყოფთ სიშიშვლით.

უსჯულოებმა ენით აუწერელი სისასტიკით აწამეს ქართველთა წმიდა დედოფალი: გახურებული რვალის ქვაბი დაამხვეს თავზე, მარწუხებით დაგლიჯეს ძუძუები, გავარვარებული შამფურები გაუყარეს მკერდიდან ზურგში, ფრჩხილები დააძრეს, ხორცი დაგლიჯეს, ლურსმნიან ფიცარზე დააგდეს და ზედაც ლურსმნიანი ფიცარი დააჭედეს, ბოლოს გახურებული ბარით შუბლი გაუპეს.

წმიდა სულმა დატოვა ნაგვემი სხეული. გამძვინვარებულმა ჯალათებმა ნადირთა სათრევად დააგდეს წმიდა დედოფლის გვამი, მაგრამ ღმერთმა მოავლინა სასწაული - წმიდანის ნეშტს ნათელი დაადგა.

წამების მხილველმა ფრანგებმა წმიდა დედოფლის ნაწილები დიდი პატივით წაასვენეს, საკმევლით და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი კახეთის მეფეს, თეიმურაზს გამოუგზავნეს თავისი წმიდა დედის თავი მკლავთან და სხვა ნაწილებთან ერთად, რომლებიც ალავერდის მონასტერში ინახებოდა და 1723 წელს დაიკარგა.

ჩვეული მანერით, განსწავლულობით ...

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულს მეცემენტეთა კულტურის სახლში ივანე ჯავახიშვილის იუბილეზე გაზეთ "განთიადის" რედაქტორმა თამაზ შეშაბერიძემ ჩვეულად საინტერესო გამოსვლის დასასრულს ბრძანა: -"განა არ დადგა დრო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის, რომ გახდესო?!"

მე არ ვიცი ეს რიტორიკული შეკითხვა რამდენად გახდა საქართველოს დედა უნივერსიტეტის სახელდების სრულყოფის მიზეზი, მომხდარი მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, რომ შეგახსენოთ, როგორი მოაზროვნე გვყავდა, როგორ უსწრებდა დროს... პროვინციაში ძნელად თუ პოულობენ ადგილს განათლებული მოაზროვნეები, ამ სივრცეში აღებ-მიცემა ან ბანკის კლერკობა უფრო ფასობს (სამწუხაროდ!)

მკაცრი და სამართლიანი მსაჯული დრო – უტყუარი შეფასებაში იტევს წარსულს და ფურცელზე თუ ვერა, თანამედროვეთა მეხსიერებაში თავის ადგილს მიუზღავს ყველას.

თამაზ შეშაბერიძე გაიგებდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში გაზეთის არსებობის გარდაუვალ პრობლემებს, საჭირო დროს, საჭირო ადგილზე ჩვენს პროვინციულ ცხოვრებას შეეწეოდა, საშოვარს გადაგებულ პატრიოტუნებს უსიტყვოდ, ჩვეული ღიმილით მიუჩენდა ადგილს, მისი დაწერილი ისტორია ავტობიოგრაფიულ მონოგრაფიად არ იქცეოდა, პოზისთვის სამადლო ჩოხას არ იმათხოვრებდა, ჭრელაჭრულა პარტიებად არ გაყიდიდა სამშობლოს სიყვარულს, დაკარგულ ტერიტორიებზე პოპულისტურად ვერ ილაპარაკებდა... ერთი სიტყვით, განათლება და წიგნიერება არ დააკარგვინებდა ადამიანის სახეს.

თამაზ შეშაბერიძე ყოველთვის გამორჩეულად ჩანდა, მაშინაც, როცა ქართულს ასწავლიდა პირველ საშუალო სკოლაში, ხელმძღვანელობდა რაიონულ გაზეთს, მუშაობდა მუზეუმში, ლიტერატურის ინსტიტუტში და მაშინაც, როცა უმუშევარი ჩვეული მანერით დადიოდა ქალაქის ქუჩებში.

თამაზ შეშაბერიძის მკვეთრად გამოხატული პიროვნული თვისებები უსახურთ უხერხულობას უქმნიდა, წიგნიერთ კი აღაფრთოვანებდა.

ჩვენს რთულ დროში, როცა ყოფითი პრობლემები რუხ სამოსელში ახვევს ყოველდღიურობას, აუცილებელია სწორედ მისნაირი ადამიანების არსებობა. მასთან საუბარი (მიუხედავად მისი პრობლემებისა) გმატებდა ძალას, არ გამოგრჩენოდა მთავარი.

კოლეგებისათვის პროფესიული თვალსაზრისით იგი იყო და დარჩება სწორების ობიექტად. ბატონმა თამაზმა იცოდა პასუხები იმ კითხვებზეც კი, რომელთა არსებობა აზრადაც არ მოუვათ მავანთ.

თუ გადავხედავთ მისი რედაქტორობით გამოცემულ "განთიადს," თვალნათლივ დავინახავთ განსწავლული მკითხველისათვის ნათქვამ სიმართლეს.

ჟურნალისტობით ნაშოვნი "პური ჩვენი არსობისა" სულაც არ გახლავთ იოლი, არც გაზეთია ოქრო – ყველას რომ იზიდავს და აბრმავებს. ბატონი თამაზი ცდილობდა ცხოვრების ქაოსში შეენარჩუნებინა "გონიერი ალიაქოთი" – რომელსაც ჩვენი გაზეთი ერქვა.

მახსოვს ერთი ნეკროლოგის წაკითხვის შემდეგ მითხრა – "ნურასოდეს ეცდები ყველაფერი თქვა, ტაეპებს შორის დატოვე მთავარი!"

მხოლოდ ჭეშმარიტად წიგნიერი იგრძნობს, როგორ დიდ პატივს სცემდა იგი მკითხველს და, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ მათ.

თურმე 14 წელი გასულა მისი გარდაცვალებიდან... არა და დღესაც იხსენებენ, როგორც თავისი თანამედროვეობის პირველ ინტელიგენტს, განსწავლულ კაცსა და გონიერ მოქალაქეს.

თამაზ შეშაბერიძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა, ქომაგობდა ჩვენს გაზეთს, დღეს ჩვენ ვართ მისი ჭირისუფალნი...

და მიუხედავად უდიდესი გულისტკივილისა, ვართ ამაყნი, რომ 1978-1984 წლებში "განთიადს" ასეთი ჩინებული რედაქტორი ჰყავდა.

გაზეთ "ახალი განთიადი"-ს რედაქტორი ნანა მერებაშვილი.

გინდათ, გაეცნოთ საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში? გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,,

"მწყემსი კეთილი"

ქრისტეშობა დღეს უამრავ სტუმარს უმასპინძლა კასპის ბიბლიოთეკების გაერთიანების საქალაქო ბიბლიოთეკამ.

საზეიმოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ განათლებისა და კულტურის მუშაკები, ჩვენი ქალაქის ინტელიგენციისა და ხელოვნების წარმომადგენლები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, მოწვეული სტუმრები... ღონისძიება ეგიდით საღამო-პორტრეტი – "მწყემსი კეთილი", მიეძღვნა საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრებიდან ორმოცი წლისთავს და ქართული საგალობლების ცნობილ მოამაგეებს, ძმებ კარბელაშვილებს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ღონისძიების ორგანიზატორმა, საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტმა ია ბიძინაშვილმა. შემდეგ კი, ადგილი დაეთმო ბიბლიოთეკის სპეციალისტებს... დამსწრე საზოგადოების წინაშე წარდგა რუსუდან აბუაშვილი, რომელმაც ისაუბრა პატრიარქის ცხოვრებასა და მსახურებაზე, ქართული საგალობლები ვრცლად მიმოიხილა თავის გამოსვლაში მაია ზერეკიძემ, ხოლო ძმები კარბელაშვილების ცხოვრება და მოღვაწეობა დამსწრეთ გააცნო მერი ბარჯაძემ.

შინაარსით დატვირთული საშობაო დღესასწაული კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა, ემოციური და სახალისო გახადა ბავშვთა შემოქმედებამ. დიახ, ყველა მოხიბლა საქართველოს კულტურის სამინისტროს ფოლკლორის ცენტრის კასპის სალოტბარო სკოლის გუნდის /ლოტბარი ზაზა მენაბდიშვილი, რეგენტი ეკა ყაზარაშვილი/ გამოსვლამ. აღფრთოვანება და დიდი მოწონება დაიმსახურეს კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მგალობლებმა /რეგენტი ლალი კალატოზიშვილი/, სიმღერისა და გალობის წრის წევრები: ანანო და თამარ პაიჭაშვილები, ანა და მარიამ მურღულები... დარბაზი ოვაციებითა და ტაშით ხვდებოდა ბავშვების მიერ შესრულებულ ქართულ საგალობლებსა და ლეგენდარულ "მრავალჟამიერს," ამ დღეს უფრო განსაკუთრებულად და ემოციურად ჟღერდა საშობაო ალილო, შემდეგ კი, სალოტბარო გუნდის წევრებმა და მოსწავლეთა სახლის ბავშვებმა ერთობლივად შეასრულეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ შექმნილი განუმეორებელი საგალობლები...

საშობაო დღესასწაულს სტუმრობდა წმინდა გიორგის სახელობის კასპის ეკლესიის მოძღვარი მამა ლევანი /ჯიქური/, რომელმაც ზეიმის მონაწილე ბავშვებს მიულოცა დღესასწაული, დალოცა და სანთლებით დაასაჩუქრა.

– საშობაო ღონისძიებისათვის საგულდაგულოდ ვემზადებოდით, – საუბრობს საქალაქო ბიბლიოთეკის მენეჯერი მაია აბუაშვილი, – ბუნებრივია, წინასწარ შეირჩა თემატიკა და ცხადია, გამომსვლელთა ვინაობაც. მოხარული ვარ, რომ ყველაფერი ორგანიზებულად, საინტერესოდ წარიმართა, კიდევ უფრო სასიხარულო გახლავთ ის ფაქტი, რომ ამ შეხვედრას ესწრებოდა ჩვენი ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობა, რომლის გარეშე ასეთი შთამბეჭდავი არ გამოვიდოდა ამ მარადიული დღესასწაულის აღნიშვნა. დაბოლოს, დამსწრე საზოგადოების წინაშე გამოვიდნენ, შობა-ახალი წელი მიულოცეს ზეიმის მონაწილეებს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ლელა პეტრიაშვილმა და ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა. ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკების გაერთიანების ღონისძიებათა ორგანიზატორი ლია მენაბდიშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

იესო დაბადებულა...

დეკემბრის მიწურულს კასპის საქალაქო ბიბლიოთეკის საახალწლოდ მორთულ დარბაზში ათასფრად მოელვარე ნაძვის ხეს თვალს ვერ აცილებდნენ პატარები... საბავშვო ზეიმი სახელწოდებით "იესო დაბადებულა, ალილო", – მისასალმებელი სიტყვით გახსნა ღონისძიების ორგანიზატორმა, მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების სპეციალისტმა ციცინო ქენქაძემ. შემდეგ სცენა დაეთმო პატარებს, რომლებმაც ისაუბრეს საახალწლო ტრადიციებზე, მაგალითად, მაკო დალაქიშვილმა თანატოლებს და არა მხოლოდ მათ, მოუთხრო ნათლისღების დღესასწაულზე, ლიზი საჩალელმა – საახალწლო ტრადიციებზე, ქეთი კოპაძემ გაიხსენა ნაძვის ხის სახალისო ამბავი, მარიამ მჭედლიშვილმა ისაუბრა პატრიარქის ბავშვებისადმი მიმართვაზე...

საზეიმო ნაწილი დაიწყო ნიკა მერებაშვილმა ყამარ ბლიაძის ლექსით "შობა." მერე მოზეიმე პატარებს თოვლის პაპაც /მერაბ მერებაშვილი/ ესტუმრა თავისი საახალწლო საჩუქრებით სავსე ხურჯინით.

საშობაო ზეიმზე ცეკვა-სიმღერაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პატარები: პაატა ჩხარტიშვილი და მარიტა ბადაშვილი, ცოტნე ჯანანაშვილი და სანდრო, გიორგი, მარი რუსიშვილები, ნუცა და ლიზი საჩალელები, თეკლა კაშახჩიანი, ნიკოლოზ კოპაძე, ნათია კურტანიძე, მარიამ, საბა პარკაძეები, ეკატერინე ბერიანიძე, ბარბარე, ანამარია, გაბრიელ კერესელიძეები, ნატალია წერუაშვილი და ნინი ბარჯაძე, ანამარია, ალექსანდრა ყაზარაშვილები...

ხალისიანი ცეკვა-თამაშის შემდეგ ბიბლიოთეკის სპეციალისტმა მარინა შაველაშვილმა გამოცანები შესთავაზა პატარებს.

ზეიმი კიდევ უფრო გაალამაზეს კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების კულტურის ცენტრის /დირექტორი და პედაგოგი ზაზა მენაბდიშვილი/ ნორჩმა მომღერლებმა: გიორგი ჯავახიშვილმა და აჩი მიგრიაულმა.

ბავშვებს ახალი წელი მიულოცეს ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტებმა ლია სოზიაშვილმა, ლია მენაბდიშვილმა, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტმა იზაბელა კობიაშვილმა, ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა მანანა ხვთისიაშვილმა. პატარების საზეიმო კონცერტი ტექნიკურად უზრუნველყო კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა მიხეილ ქოსაშვილმა, საახალწლო ფოტოების გადაღება დაევალა ფოტო-ხელოვანს ლაშა ზუბიაშვილს.

დასასრულს პატარების დაჯილდოების ცერემონიალს წარუძღვა მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე. ყველა ბავშვს საზეიმო ვითარებაში გადაეცა სიგელი.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

რჩეულნის ცვლვნეთ ფოტო-მეფიანნის შეცვლნელოვ. თხოვნით მივმართავთ თანარჩეულნელოებს - ფოტოვეთ თქვენი ყველი ცვენს მეფიანნეში! გემოგვიგზავნეთ ცვინტერჩეცთ ფოტოები!

„ასე ლამაზი თუ იყო ზამთარი, არც მიფიქრია“

ხოვლის საბავშვო ბაღი

ხოვლე

საახალწლო კარნავალი, რომელიც ხოვლის საბავშვო ბაღში /გამგე ლალი თაბუაშვილი/ გაიმართა მარტო ბავშვებს კი არა, უფროსებსაც ძალიან მოეწონათ. დიდ-პატარა ერთად ილხენდა და ხალისობდა. ყველაფერი კი, წინასწარ დაიგეგმა... მთელი პედაგოგიური კოლექტივი, მეთოდისტი, აღმზრდელები, მათი თანაშემწეები, მშობელთა კომიტეტის წევრები ერთად წერდნენ სადღესასწაულო ღონისძიების სცენარს: ინსცენირებაში ბავშვები განასახიერებდნენ სხვადასხვა პერსონაჟს და შესაბამისად იყვნენ გამოწყობილი, აქ ნახავდით ლამაზ ფერიებს, დევსა და ნაცარქექიას, დათუნიას თავის ბელებით, სასაცილო მელაკუდებს...

კარნავალზე ყველას ხიბლავდა და ყურადღებას იქცევდა თავმომწონე მამლაყინწა /ძველი წლის განსახიერება/ და ბომბორა ძაღლი /ახალი წელი/. იყო არაჩვეულებრივი სანახაობა, ხალისიანი განწყობა, ბავშვები საოცარი, მოხდენილი სითამამითა და ერთგვარი „არტისტულობით“ თამაშობდნენ.

აღსაზრდელებმა ჯერ ლექსები წაიკითხეს, მერე საახალწლო სიმღერების /მუსიკის მასწავლებელი ნ. ლომიძე / დრო დადგა, აღმზრდელმა კ. კორკოტაშვილმა ბავშვებს მოასმენინა ვიდეოჩართვა თოვლის პაპასთან, ამის შემდეგ მცირე ხნით დატოვა ზეიმი და მოულოდნელად ისევ თოვლის პაპასთან /ფსიქოლოგი ლ. გაბინაშვილი/ ერთად ჯამბაზის ფორმაში გამოწყობილი დაბრუნდა ბავშვებთან, ეს იყო ენით აუწერელი, სახალისო, ზღაპრული სანახაობა, სადაც ბავშვები, თოვლის პაპა და ჯამბაზი ერთობოდნენ. საახალწლო კარნავალის ყველაზე შთამბეჭდავი აკორდი გახლდათ ბავშვების მიერ შესრულებული საშობაო ალილო... თოვლის პაპამ ყველა ბავშვს საახალწლო საჩუქარი გადასცა და მათთან სამახსოვრო ფოტოც გადაიღო.

მეტეხი

სადგურ მეტეხის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა ჯერ კიდევ 15 დეკემბერს იზეიმეს შობა-ახალიწლის დადგომა. საახალწლო აქტივობის („ჩემი ნახატი უფრო მოეწონება თოვლის პაპას“) ორგანიზებულად ჩატარებისათვის ბაღის (გამგე მარიამ გეჯაძე, აღმზრდელი ნინო წერეთელი, მუსიკის მასწავლებელი ნინო ბიჭიკაშვილი, აღმზრდელის თანაშემწეები მერი ფირანიშვილი და ანა ბიჭიკაშვილი, ფსიქოლოგი ლია ჩიგოევი/ მთელი კოლექტივი ემზადებოდა... მასწავლებლებთან ერთად საახალწლო სამზადისში ჩაერთო ბაღის ყველა აღსაზრდელი. ზეიმზე გამოწყობილი იყვნენ საკარნავალო ფორმებში.

საახალწლო აქტივობისას აღსაზრდელებმა გასაფორმებლად გამოიყენეს ნაძვის ხე და საახალწლო თემაზე შექმნილი სხვადასხვა დეკორაცია, ყველაზე საინტერესო კი, ის იყო, რომ ამ დროს ბავშვებს ესტუმრა პატარების საოცნებო თოვლის პაპა, რომელსაც დიდი სიამოვნებით უმღერეს, ლექსები წაუკითხეს და ბოლოს აქტივობისას შესრულებული ნახატები წარუდგინეს. თოვლის პაპას ძალიან მოეწონა პატარების მიერ შესრულებული ნამუშევრები და მათთვის საახალწლო საჩუქრებიც არ დაიშურა.

კასპის მეორე ბაღი

სანახაობრივად ლამაზი, შინაარსით დატვირთული საშობაო ზეიმი ჩაატარეს კასპის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღის /5-6 წლიანი/ აღსაზრდელებმა... ბაღის საახალწლოდ მორთულ, ნაძვის ხით დამშვენებულ დარბაზში შეკრებილ სტუმრებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა ბაღის გამგემ თამარ ხოკრიშვილმა. მრავალფეროვანი საზეიმო კონცერტის მომზადებაში, როგორც ყოველთვის ახლაც აქტიურობდნენ აღმზრდელი ნანა მერებაშვილი, მისი თანაშემწე გულნაზ კაციაშვილი, მუსიკის მასწავლებელი ნინო მერებაშვილი. საახალწლო კარნავალზე წარმოდგენილი იყო პატარ-პატარა სცენები ბავშვების საყვარელი ზღაპრებიდან, გაიხსენეს „წითელქუდა,“ „კომბლე,“ „თოვლის პაპა და ბავშვები,“ პატარა აღსაზრდელებმა განასახიერეს „კაცია ადამიანის“ ლეგენდარული პერსონაჟების ლუარსაბისა და დარეჯანის ცნობილი „პაექრობა“ და ამას მოჰყვა კიდევ ერთი პატარა ფრაგმენტი ქართული კინოფილმიდან „ღვინის ქურდები.“ შესრულდა საახალწლო სიმღერები, ქართული ცეკვები. დასასრულს თოვლის პაპა ტკბილეულით გაუმასპინძლდა პატარებს და მომავალ წლამდე დაემშვიდობა.

კასპის მეხუთე ბაღი:

მეხუთე საბავშვო ბაგა-ბაღის /გამგე ლალი მილაძე/ საშობაო კარნავალი ახლადგარემონტებულ დარბაზში მოეწყო. საახალწლო ზეიმი გახსნეს უფროსი ჯგუფის /5-6 წლიანი/ ბავშვებმა: ნიკოლოზ აღაპიშვილმა, ერეკლე კაკაშვილმა, თათია სადაღაშვილმა, მარი და ბარბარე ბალახაძეებმა, მარი ნავროზაშვილმა, დ. ბურდულმა. (აღმზრდელი ნანა ჯამალაშვილი, მისი თანაშემწე ოლია ბერიძე, მუსიკის მასწავლებელი ელენე ხორგუაშვილი). აღსაზრდელები სადღესასწაულოდ გამოწყობილი გამოვიდნენ სახელდახელოდ გამართულ სცენაზე. გიორგი მაზმიშვილმა განასახიერა თოვლის პაპა.

უფროსი ჯგუფის გამოსვლის შემდეგ სცენა დაიკავეს 5-წლიანმა ბავშვებმა. ტყუილად ღელავდნენ მათი მასწავლებლები: თამარ ნიპარიშვილი და თინიკო თინიკაშვილი, დინარ ქავთარაძე და ლია ტყეშელაშვილი, რადგან აღსაზრდელებმა ძალიან საინტერესოდ წარმოადგინეს ზღაპარი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, ფიფქიას როლს ასრულებდა ბარბარე ქავთარაძე, დედინაცვალი იყო მარიამ ბედოიძე, ორი ანგელოზი: თაკო ბერიანიძე და ანანო ქსოვრელი, დანარჩენები ჯუჯებს განასახიერებდნენ, ერთ-ერთ მათგანს, ნოდიკო ზუბიაშვილს ყველამ ერთად მიულოცა დაბადების დღე...

ძალიან ლამაზად გამოიყურებოდნენ, თვალს ვერ მოაცილებდით პატარა /4- წლიანები/ აღსაზრდელებს: ია ხარაზიშვილს და ლუკა ბურდულს, ლაშა ჯანელიძეს და ელენე მარქარაშვილს, რომლებმაც ნაძვის ხის გარშემო შეასრულეს სიმღერები და ცეკვები, პატარებს ეხმარებოდნენ აღმზრდელ-მასწავლებლები: მაია მაღლაფერიძე, მარეხ მაჭარაშვილი და ფსიქოლოგი ელენე ხეჩუაშვილი. კარნავალი დასრულდა ყველაზე პატარა /სამ წლიანი/ აღსაზრდელების გამოსვლით. აღმზრდელები: ეკა ნიპარიშვილი და ნინო გოგოლაძე, თანაშემწე ეკა ლაგრაძე, მუსიკის მასწავლებელი ელენე ხორგუაშვილი, სწორედ მათი მცდელობითა და დახმარებით პატარებმა: დიმიტრი გურწიშვილმა, ანანო კურტანიძემ, მარიამ ტურაშვილმა, ანუკი და ნათია სამხარაძეებმა, მარიამ ტალახაძემ და რეზი ხუროშვილმა ცეკვა-სიმღერით მოხიბლეს თანატოლები და ყველას მოწონება დაიმსახურეს.

კასპის მესამე საბავშვო ბაღი

კასპის მესამე ბაღი:

მესამე საბავშვო ბაღის /გამგე თეა ქუტაშვილი, აღმზრდელი ლია აფციაური/ უფროსი ჯგუფის აღსაზრდელები ბარბარე ფულოვი, ქეთი გაჩეჩილაძე, ელენე გოჭოშვილი, ბარბარე მელაძე, ბარბარე ფეტვიაშვილი 31 დეკემბერს, კასპში გამართულ საახალწლო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ და ძალიან ასახელეს აღმზრდელბი.

ბაღში ჩატარდა საახალწლო, საშობაო აქტივობა. ამ ღონისძიებამ, სადაც ბავშვებთან ერთად მშობლებიც მონაწილეობდნენ, სპეციალისტთა ყურადღება დაიმსახურა, ზეიმს თოვლის პაპაც ესტუმრა და პატარებს საახალწლო საჩუქრები გადასცა.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

სადგურ მეტეხის საბავშვო ბაღი

წიგნებს არ კითხულობენ?!

ჩვენ კი XI საუკუნეში ვცხოვრობთ და ტექნოლოგიების ტყვეობაში აღმოვჩნდით, მაგრამ წიგნის კითხვა ხომ არავის აუკრძალავს, თანაც მშობლები დღენიადაგ ერთხმად სწუხან, რომ - "შვილები წიგნებს არ კითხულობენ." ასე რომ დღის წესრიგშია საკითხი - როგორ დავაბრუნოთ ბავშვები წიგნებთან? კასპის პირველ საჯარო სკოლაში მგონი ჩინებულ ხერხს მიაგნეს...

კასპის პირველმა საჯარო სკოლამ და ბიბლიოთეკების გაერთიანებამ გასული წლის დეკემბრის მიწურულს საქალაქო ბიბლიოთეკაში უმასპინძლა ღონისძიებას - "გემრიელი ვიქტორინა ქართულ მოთხრობასთან ერთად."

ვიქტორინაში მონაწილეობდნენ კასპის პირველი საჯარო სკოლის X და XI კლასების მოსწავლეები (სკოლის დირექტორი - მაია დაბრუნდაშვილი; ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი - მარინა მენაბდიშვილი.)

მარინა მენაბდიშვილმა შესავალ სიტყვაში, მისალმების შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო ღონისძიების არსი და მიზანი. ვიქტორინა ორ ნაწილად იყო წარმოდგენილი. პირველ ნაწილში XI კლასის (დამრიგებელი მარინა მენაბდიშვილი) მოსწავლეებმა წარმოადგინეს ქართული მოთხრობების პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებას და ნაწარმოების მიმოხილვას.

დამსწრე საზოგადოების წინაშე კონსტანტინე გამსახურდია, "ზოგაის მინდია" - წარმოადგინა გუგა ბერიანიძემ; გურამ დოჩანაშვილი, "ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება" - წარმოადგინა ლალი ოსიყმიშვილმა; ლეო ქიაჩელის "ჰაკი აძბა" - წარმოადგინა თათია საბიაშვილმა; გურამ რჩეულიშვილი, "უსახელო უფლისციხელი" - წარმოადგინა ქეთევან საბიაშვილმა; გოდერძი ჩოხელი, "წერილი ნაძვებს" - წარმოადგინეს ანი მიდელაშვილმა, ნინო ჟივიძემ; ლევან გოთუა, "ყინწვისის ანგელოზი" - წარმოადგინა თათია ხარატიშვილმა; რევაზ ინანიშვილი, "მეფე ერეკლე და ანანურელი ულამაზოები" - წარმოადგინა სოფიო პავლიაშვილმა; მიხეილ ჯავახიშვილი, "ლამბალო და ყაშა" - წარმოადგინა მარიამ აბულაძემ; ნოდარ დუმბაძე, "ძაღლი" - წარმოადგინა ანანო ადამოვმა; ჯემალ ქარჩხაძე, "რაჰათ - ლუხუმი" - წარმოადგინა დავით მაღლაფერიძემ.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებმა იმუშავეს დამოუკიდებლად და საზოგადოებას წარუდგნენ გამართული მეტყველების კულტურით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ავტორისა თუ ნაწარმოების წარდგენის დროს.

შეხვედრის მეორე ნაწილი მოიცავდა ვიქტორინას. პედაგოგი მარინა მენაბდიშვილი კითხულობდა მცირე ფრაგმენტს წარმოდგენილი მოთხრობებიდან, ხოლო ბავშვებს უნდა ამოეცნოთ ეს ნაწარმოები.

ვიქტორინაში სწორი პასუხებით გაგვახარეს: ნანი გოჭოშვილმა (2 სწორი პასუხი), ნაზი დალაქიშვილმა, მაკა ხარხელმა, სალომე მარქარაშვილმა, ანა ელკანოვმა, ელენე პავლიაშვილმა (2 სწორი პასუხი), ანი ბერიანიძემ, მარიამ ღვინიაშვილმა.

დასაწყისში მოგახსენეთ, ვიქტორინას ერქვა "ტკბილი ვიქტორინა ქართულ მოთხრობასთან ერთად," სახელდების პირველი ნაწილის დასტურად დარბაზში მსხდომთ და ღონისძიებაში მონაწილეებს გადაეცათ საჩუქრებად ნუგბარი. არ ვიცით, რამდენად ზუსტად ასახა ტკბილეულმა მასწავლებელთა თუ მოსწავლეთა შრომის და გამარჯვების შედეგად მიღებული წარმატების სიხარული, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ნებისმიერი მშობელი ყოველთვიურად მონაწილე იქნებოდა ასეთი შემეცნებითი შეხვედრების ტკბილეულით დასაფინანსებლად.

ღონისძიებას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი.

შეხვედრის დასასრულს სიტყვით გამოვიდნენ: კასპის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მაია დაბრუნდაშვილი, ამავე სკოლის ფილოლოგები - ნათია სუხაშვილი და ნუნუ ბერიძე, მშობელი ეკა გურგენიძე, გაზეთ "ახალი განთიადი"-ს რედაქტორი ნანა მერებაშვილი, ბიბლიოთეკების გაერთიანების ღონისძიების ორგანიზატორი ლია მენაბდიშვილი.

ღონისძიება წარმატებულად შედგა, რისთვისაც დამსახურებული მადლობის ღირსია კასპის პირველი საჯარო სკოლის ხელმძღვანელობა, ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ამაგდარი პედაგოგი მარინა მენაბდიშვილი, ვიქტორინაში მონაწილე ყველა მოსწავლე.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

კულტურა

ანსამბლი „საამილახვრო„ ქართლის გულში

ქართული მუსიკალური ფოლკლორი ჟანრობრივად მდიდარი და მრავალფეროვანია, გამოიყოფა სამი ძირითადი ჟანრი: შრომის (ინდივიდუალურ და კოლექტიურ შრომასთან დაკავშირებული სიმღერები: გუთნური, კევრული, ურმული, ჰერიო, კალოსპირული, გლესამ და გლესამ ნამგალო და სხვ.), ეპიკური (ხალხური თქმულებებისა და მითების გმირებზე და მათ თავგადასავალზე), საწესჩვეულებო (საკულტო: კვირია, ლაშარის სიმღერა და სხვ; კალენდარული: ჭონა, ალილო და სხვ; საყოფაცხოვრებო: მრავალჟამიერი, ჩაკრულო, შავი შაშვი, იავნანა, ბატონებო, ზარი, არაგვისპირული ლაშქრული, მირანგულა და ა.შ.)

ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში საქართველოს კუთხეების მიხედვით გამოყოფენ ორიგინალობის ნიშნით აღბეჭდილ 15 მუსიკალურ დიალექტს. ესენია: ქართლ-კახეთის, ხევის, მთიულეთის, თუშეთის, ფშავის, ხევსურეთის, რაჭის, სვანეთის და ა.შ.

სიყვარულივით ამოუხსნელი და იდუმალია ქართული ხალხური სიმღერა, რომელიც "იუნესკომ" მსოფლიოს უნიკალურ, ხელთუქმნელ შედევრებს შორის დაასახელა. ქართველების უჩვეულო ცეკვა-სიმღერის შესახებ უძველესი ასურული და ბერძნული წყაროებიც მოგვითხრობენ...

ამბობენ, რომ 31 დეკემბერს უამრავმა ტელემაყურებელმა პირდაპირ ეთერში უყურა ტელეკომპანია თრიალეთის სატელევზიო გადაცემას "თბილისის დრო," სადაც მიწვეული იყო ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ყველასათვის კარგად ცნობილი ფოლკლორული ანსამბლი "საამილახვრო."

წლებია ახალგაზრდული კოლექტივი წარმატებით გამოდის და ანებივრებს ქართული, ხალხური სიმღერის მოტრფიალე მსმენელს.

მარტო რიგითი მსმენელი კი არა, სპეციალისტებიც კი აღტაცებული არიან "საამილახვროს" რეპერტუარითა და მათ მიერ ქართლური სიმღერების ორიგინალური შესრულების მანერით. შარშან, მაისში ანსამბლმა საქვეყნოდ ასახელა ქვემო ჭალა და მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური. საქმე ის გახლავთ, რომ ქართული-ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულებლები ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გამართულ ყოველწლიურ, ეროვნულ საგუნდო კონკურსზე მიიწვიეს და შედეგად ქვემოჭალელმა მომღერლებმა კარგად დაამახსოვრეს თავი თბილისელ მაყურებელს. ანსამბლის წევრებმა, ძმებმა ხვიჩა, გიორგი და გაბრიელ ხელაშვილებმა, გუნდის ხელმძღვანელმა გიორგი ხასიშვილმა საუცხოოდ შეასრულეს ძველი ქართლური, კუთხური სიმღერები "თებრონე მიდის წყალზედა," "ჩავუხტეთ ბარათაშვილსა," "ცელო მოუსვი ბალახსა" და კიდევ სხვა ბევრი ხალხური სიმღერა.

— ჩვენი საახალწლო, სატელევზიო გამოსვლა ნამდვილად კარგის ნიშანია, მეტიც, ვფიქრობთ, დიდ სტიმულს გაგვიჩენს, გაზრდის ჩვენს მოტივაციას, — აცხადებს ანსამბლ "საამილახვროს" ხელმძღვანელი და ერთერთი სოლისტი გიორგი ხასიშვილი, — რასაკვირველია, დიდი სიამოვნებითა და სიხარულით მივიღეთ სატელევზიო მიწვევა და ბუნებრივია, მთელი მონდომებით შევარჩიეთ რეპერტუარი, გავიარეთ რეპეტიციები, საგულდაგულოდ მოვამზადეთ "საშობაო ალილო" და ქართული საგალობლები, ერთი სიტყვით, ყველაფერი გავითვალისწინეთ.

მოკლედ, სატელევზიო გადაცემაში "თბილისის დრო" საახალწლო ეთერი სწორედ "საამილახვრომ" გახსნა. რასაკვირველია, გაჟღერდა "საშობაო ალილო," ქართული-ხალხური სიმღერები "ჩავუხტეთ ბარათაშვილსა," "შენმა სურვილმა", "ეგ სახე" /ფანდურის თანხლებით/.

სატელევზიო ეთერი დასრულდა ტრადიციული "მრავალჟამიერით" /ქართლური ვარიანტი/.

აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანები მოიხიბლნენ ქვემოჭალელი მომღერლებითა და მათ მიერ შესრულებული სიმღერებით და ტელემაყურებელს საგანგებოდ აუწყეს იმის შესახებ, თუ როგორი წარმატებით ასრულებს ანსამბლი "საამილახვრო" ქართულ საგალობლებს სამთავისის ტაძარში. ჩვენ წილ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდა შემსრულებლები დიდად უწყობენ ხელს ქართული ფოლკლორით მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესებას.

ანსამბლის წევრები ხელშეწყობისა და თანადგომისათვის მადლობას უცხადებენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიასა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელებს თეა ხორბალაძესა და მიხეილ ქოსაშვილს მათდამი გამოჩენილი ხელშეწყობისა და მუდმივი თანადგომისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

რესპუბლიკური ტურნირი

ახლადაშენებულ სპორტკომპლექსში



კასპის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, კულტურისა და სპორტის სამსახურის, აგრეთვე, სპორტკომპლექსის დირექციის თაოსნობითა და ორგანიზებით ჩატარდა ერთობლივი ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული, ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენის კავალერის, კასპელი გოჩა თათრიშვილის ნათელ ხსოვნას... სპორტკომპლექსის დარბაზში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ 2001-2003 წლებში დაბადებული ვაჟთა გუნდები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ღონისძიებას საზეიმო ნაწილიც ახლდა, სპორტული პაექრობის დაწყებამდე სპორტდარბაზში შეკრებილებს, რომელთა შორის იყვნენ სპორტის ვეტერანები, ცნობილი სპორტსმენები, დედაქალაქიდან სპეციალურად მოწვეული სტუმრები, ჩვენი ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, გოჩა თათრიშვილის ოჯახის წევრები და ახლობლები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, სიტყვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ. დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ მერებაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე და მისი მოადგილე ზურაბ ჯავახიშვილი.

სიტყვაში გამომსვლელთა შორის იყვნენ გოჩა თათრიშვილის დედა ლამარა კახიანი, გაზეთ "ახალი განთიადის" რედაქტორი ნანა მერებაშვილი, ამირან ტალახაძე... შესრულდა ქორეოგრაფიული ნომერიც, გამოვიდა ანსამბლი "მოურავი", რომელმაც შეასრულა ცნობილი ჰიტი "ჩემო კარგო ქვეყანა", შემდეგ კი, ეროვნული ჰიმნის თანხლებით აღიმართა საქართველოს დროშა... აი, ასეთ ემოციურ ფონზე დაიწყო რესპუბლიკური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ კასპის, გორის, ხაშურისა და თბილისის საკალათბურთო გუნდები.

ასპარეზობა ჩატარდა ოლიმპიური სისტემით. პირველ ტურში გორის გუნდმა ანგარიშით 76:68 დაამარცხა ხაშურის გუნდი, ხოლო კასპელმა კალათბურთელებმა ანგარიშით 78:66 მოუგეს თბილისელებს. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ხაშურის გუნდმა დაამარცხა თბილისის გუნდი ანგარიშით 74:60 და გაინაღდა მესამე ადგილი. ფინალურ შეხვედრაში კასპელმა სპორტსმენებმა დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 76:69 დაამარცხეს გორელი კალათბურთელები და ამდენად, ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ.

ტურნირში გამარჯვებული კასპის გუნდი დაჯილდოვდა გოჩა თათრიშვილის სახელობის გარდამავალი თასით, ფულადი პრემიით /1000 ლარი/, კალათბურთელებს გადაეცათ პირველი ხარისხის მედლები და დიპლომები, მეორე-მესამე ადგილზე გასული გორისა და ხაშურის გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, და კიდევ, ოთხივე გუნდმა საჩუქრად მიიღო კალათბურთის ბურთები...

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს კასპელი კალათბურთელი გიორგი სიმონიშვილი, რომელიც დაჯილდოვდა გოჩა თათრიშვილის სახელობის სპეციალური პრიზით. ამ საინტერესო და მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებას სტუმრობდნენ ქართული სპორტის სახელოვანი წარმომადგენლები, ვეტერანი კალათბურთელები ნოდარ ქორქია, გივი ბიჭიაშვილი და ამ ლეგენდარულმა კალათბურთელებმა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულ კასპელ ახალგაზრდას გიორგი სიმონიშვილს სამახსოვრო საჩუქარი, საქართველოს ნაკრების სპორტული ფორმის მაისური გადასცეს... დაბოლოს, როგორც კასპის სპორტსკოლის მესვეურები იუწყებიან, ტურნირი გახდება ტრადიციული და ჩატარდება ყოველწლიურად.

კასპის სპორტკომპლექსი.

სილამაზის კონკურსი

"მის კასპი 2017"

* *

კასპის კულტურის ცენტრში სამოდელო სტუდია "ფავორიტი"-ს ინიციატივით სილამაზის კონკურსი ,,მის კასპი 2017" გაიმართა.

კონკურსის 26 მონაწილიდან ჟიურიმ 2 კონკურსანტი შეარჩია, კერძოდ: - 16 წლის ანი კალატოზიშვილი ,,მის კასპი" გახდა, ხოლო 15 წლის ლიზი მარიდაშვილი ,,ვიცე მის კასპი".

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო პროექტ ,,ნიჭიერი-"ს ჯგუფი ,,წეროები"-ს ქორეოგრაფიული ნომრები. კონკურსი კასპის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მხარდაჭერით გაიმართა.

წლიან მონაგები

ი ა ნ ვ ა რ ი: 20 წლის გიორგი კაციაშვილმა ზამთრის სპორტული სეზონის წარმატებათა სერია განაგრძო: სულ ერთი თვით ადრე მოპოვებულ ქართულ ჭიდაობაში ქვეყნის აბსოლუტური ფალავნის ტიტულს ამჯერზე ჩემპიონობაც დაურთო ძიუდოში ქ. თბილისში, ძიუდოს აკადემიის დარბაზში, 81 კგ.-ის მოასპარეზეთა შორის... სამწუხაროდ, ზაფხულში ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ტრავმა მიიღო და სეზონი გაუცდა, ვეღარც წლის ფალავნობაზე იჭიდავა).

თ ებ ე რ ვ ა ლ ი:

ნაცადმა მოჭიდავეებმა, ბექა ბერძენიშვილმა და კახა მამულაშვილმა, რომლებმაც ადრე რამდენჯერმე წარმატებით დალაშქრეს ბელარუსის დედაქალაქური საჭიდაო ხალიჩა, შუა თებერვალში მინსკში ქართული ცეცხლი კვლავაც გააჩაღეს და ამათგან პირველი გაჩემპიონდა მძიმეწონოსანთა შორის, მეორე კი საპატიო კვარცხლბეკის მე-3 საფეხურზე შედგა (74 კგ.). "შვილობილმაც" და უფროსმა ვაჟმაც მწვრთნელს, ნუგზარ მამულაშვილს, ამაგი დაუფასეს, ანუ წარმატებით აიღეს სპორტული წლის სტარტი.

მ ა რ ტ ი:

საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების წამყვანმა წევრებმა, ჯაბა პაპინაშვილმა (55 კგ.) და რობინზონ ბეგლარაშვილმა (60 კგ.) პირველივე შიდასაქვეყნო ჩემპიონატში სასურველი შედეგი დადეს, სამეულში შევიდნენ მე-3 და პირველი პოზიციებით. ამით გამოჩნდა, რომ სპორტული მზადების ფორმის თვალსაზრისით მზად იყვნენ წლის სამომავლო შეჯიბრებებისათვის... აკი პაპინაშვილმა ოქტომბერში "გაისროლა" კიდეც (იხ. თვის ციტატა)...

ჭაბუკთა ასაკის სხვა ძიუდოისტებიდან აღსანიშნავია ვალერი მღებრიშვილისა (46 კგ.) და ირაკლი დემეტრაშვილის (მძიმე წონა) მე-3 ადგილები, რასაც შეწვდნენ ქ. ბოლნისში, დამსახურებული მწვრთნელის ანზორ მარგველანის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირში; ასევე, იოსებ ჟივიძისა და გიორგი ხინიზოვის მე-3 პრიზიორობა ქ. ყვარელში.

ა პ რ ი ლ ი:

დავით დალაქიშვილის შეგირდმა კარატისტებმა თავი გამოიჩინეს ბორჯომულ ღია პირველობაზე და დუშეთის "300 არაგველის" ტურნირებში. აი, ორივეგან ვინც იყოჩაღა: ვახტანგ წიკლაური, დავით ჯანჯულია, თორნიკე მურღული, მარიამ მერებაშვილი, ილია დალაქიშვილი, ლუკა სუხაშვილი, გიორგი თხინვალელი, ქეთევან წიკლაური, ნიკოლოზ პაპუაშვილი, გივი ფსუტური... აი, ახალგაზრდა ძიუდოისტები ლაშა დუდაშვილი (81 კგ.) და დავით გეჯაძე (60 კგ.) წარმატებით გამოვიდნენ ქ. თელავის ტურნირში, ხოლო თავისუფალი სტილის ჭაბუკი მოჭიდავეები: ედი ბუღულაშვილი (პირველი ადგილი, 85 კგ.), დანიელ მარქარაშვილი (მე-3, 69 კგ.) და მევლუდ კაკიაშვილი (მე-3, 63 კგ.) – ქ. თბილისში, დამსახურებული მწვრთნელის, შალვა ბაგაურის ხსოვნის მემორიალურ ტურნირში. მათი მწვრთნელია თემურ გაბოძე, რომლის კიდევ ერთმა შეგირდმა, ვასილ ბიტარიშვილმა მე-3 ადგილი დაიკავა დამსახურებული მწვრთნელის, ამირან მაისურაძის თბილისურ ტურნირში,

მ ა ი ს ი:

ევროპული მასშტაბისა იყო ჩვენებური მოჭიდავე – სამბოელების დუეტის – ზვიად ოდოშაშვილისა (62 კგ.) და კვლავ ბექა ბერძენიშვილის (მძიმე წონა) მიღწევები რუსეთში, ქ. სანკტ-პეტერბურგში გამართულ საკონტინენტო ჩემპიონატში.

მათი წარმატების დასტურად ქართული ჰიმნი არ გაჟღერდა, მხოლოდ ბრინჯაოს მედლები ირგუნეს კვარცხლბეკის მე-3 საფეხურზე მდგომებმა...

ჭაბუკმა ძიუდოისტებმა, ბექა მარქარაშვილმა და სოსო ჟივიძემ (ორივე 50 კგ, მწვრთნელი ბერდია ბახტაძე) ერთი "პოდიუმის" პირველი და მე-3 საფეხურები გაინაწილეს თბილისურ "ლიდერის თასის" ტურნირში მოსწავლეთა შორის.

ი ვ ნ ი ს ი:

ქართულ ჭიდაობაში 1994 წლის საქართველოს აბსოლუტური ფალავნის, ვანო გამხიტაშვილის (1973-1999) ხსოვნის ტურნირში, რომელიც მისი სახელობის ღია არენაზე ჩატარდა, ვიცე-ჩემპიონები გახდნენ გიორგი ლალიაშვილი (50 კგ.) და ლევან მამულაშვილი (35 კგ.)... "ვარძიის თასზე" მესხეთში გამართულ მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირში პრიზიორები გახდნენ ვალერი მღებრიშვილი (46 კგ.) და გიორგი ხინიზოვი (მძიმე წონა). ეს ბიჭები პირველ ნაბიჯებს დგამენ სპორტულ სარბიელებზე.

ი ვ ლ ი ს ი - ა გ ვ ი ს ტ ო:

ქართულ ჭიდაობაში რამდენიმე ტურნირი გაიმართა: ქ. კასპში – გიორგი მერებაშვილის ხსოვნისა, სოფ. ლამისყანაში – რესპუბლიკური მასშტაბისა, სახალხო დღესასწაულთან "ივლიტობასთან" დაკავშირებით, სოფ. აღაიანში – მოჭიდავისა და გმირი მაშველის, ზურაბ მუზაშვილის ხსოვნისა...

ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი:

გამოცდილმა მოჭიდავემ, ზვიად ოდოშაშვილმა, რომელიც დღეს-ხვალ დაასრულებს აქტიურ სპორტულ კარიერას, დამაკმაყოფილებელი შედეგი უჩვენა საქართველოს სამბოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის, 2013 წელს ტრაგიკულად დაღუპული არჩილ ჩოხელის სახელობის მემორიალურ ტურნირში, მე-3 იყო 68 კგ.-ის მოასპარეზეთა ჯგუფში.

ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი:

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში ქართველი ახალგაზრდა ძიუდოისტის, ჯაბა პაპინაშვილის, მსოფლიო გაჩემპიონების (55 კგ.ში) დასტურად და პატივსაცემად ქართული დროშა აფრიალდა და ჰიმნიც აჟღერდა... ფრიად საინტერესო და სიმბოლური ფაქტი კი ის გახლავთ, რომ ამავე თვის დასაწყისში ზაგრებშივე საევროპო "გრანპრის" გათამაშებაში გაიმარჯვა მისმა უფროსმა ძმამ (60 კგ.-ის კატეგორიაში).

შევნიშნავთ ერთსაც: 2017 წელი ამირანმა მსოფლიო სარეიტინგო ნუსხაში მე-7 საფეხურამდე ჩამოინაცვლა (არადა, პირველი ნომერიც იყო, მერე – მესამე), ხოლო ჯაბა საქართველოში მიჩნეულ იქნა საუკეთესო ახალგაზრდა ძიუდოისტად. მას 20 წელი უს-

რულდება 2018 წლის 27 აპრილს. ალბათ, შორს არაა ის დრო, როცა უმცროსი პაპინაშვილი უფროსს ჩაენაცვლება საქართველოს ნაკრებში.

დ ე კ ე მ ბ ე რ ი:

33 წლის მოჭიდავე, კახა მამულაშვილი, საჭიდაო ჩოხის გახდას ჯერ არ აპირებს (დაბადებულია 1985 წლის 21 ოქტომბერს): იგი მრავალი საშინაო და უცხოური პირველობის ჩემპიონ-პრიზიორი და 2015 წლის ევროპის პირველი ოლიმპიური თამაშების (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი) მე-3 პრიზიორია სამბოში, ხოლო საქართველოს აბსოლუტური ფალავნობის ტურნირებში იმდენჯერ იასპარეზა, ყველას ზუსტად ვერც კი მოითვლის. და, აი, 2017 წლის ფინიშზეც არ დარჩა ხელმოცარული: "თავის" წონაში (80 კგ.) მე-3 საპრიზო ადგილისა და შესაბამისი ფულადი ჯილდოს მფლობელი შეიქმნა. ბრავო, ქართული ჭიდაობის ოსტატო!

იანვრის კალენდრის ფურცლებზე

დაიბადნენ:

პირველი იანვარი – ილია ბექაური და ნუგზარ გურასპაშვილი (ორივე – 1953, კასპის საფეხბურთო გუნდის "განთიადის" ყოფილი მოთამაშეები); 5 იანვარი – გიორგი შუბითიძე (1981 – საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობის სახეობებში ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებების წევრი სამბოში, ამჟამად ექსტრაკლასის რეფერი, მსაჯობს ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე, ცხოვრობს ქ. ჰოლივუდში (აშშ); 6 იანვარი – ვალერიან იაშვილი (1946 – ცნობილი მოჭიდავე და მსაჯი კასპის რაიონის ჭიდაობის ისტორიაში, "კაციაშვილის სკოლის" სახელოვანი წარმომადგენელი – გარდაიცვალა 2004 წ.); 8 იანვარი – ჯამბოლატ (ჯაბო) ქამხაძე (1973 – მოჭიდავე-სამბოელი, საქართველოს ნაკრების წევრი გასული საუკუნის 90-იან წლებში, ევროპისა და მსოფლიო პირველობათა მრავალგზის პრიზიორი); 10 იანვარი – შახალ ისმაილოვი (1958 – კასპის "განთიადის" ყოფილი ფეხბურთელი); 13 იანვარი – გიგა წიკლაური (1987 – მოჭიდავე, ახალგაზრდული ნაკრების წევრი ძიუდოში, ევროპის 3-გზის პრიზიორი); 13 იანვარი – ალექსანდრე ხუციშვილი (1951 – ცნობილი მოჭიდავე და მწვრთნელი, ამჟამად კასპის საჭიდაო სკოლის დირექტორი);

15 იანვარი – გიორგი ბეინაშვილი (1945 – ქართული საჭიდაო სკოლის "ძველი გვარდიის" სახელოვანი წარმომადგენელი, წარმატებული მოჭიდავე და ამაგდარი მწვრთნელი); 21 იანვარი – ნუგზარ ხორგუაშვილი (1946 – საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე – (2013), ოთხ ათეულ წელზე მეტი ემსახურება ქართულ სპორტს); 22 იანვარი – ლევან ბეინაშვილი (1984 – საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი სამბოში, პერსპექტიული სპორტსმენი, 2005 წლის მაისში გახდა საქართველოს ჩემპიონი, ივნისში დაამთავრა ფიზკულტურისა და სპორტის აკადემია, ივლისში გარდაიცვალა ტრაგიკულად); 23 იანვარი – ბადრი ჯანიაშ-

ვილი (1972 – კასპის რაიონის ჭიდაობის ისტორიაში მეორე მსოფლიო ჩემპიონი (იოსებ მაღალაშვილის შემდეგ) ჭიდაობა სამბოში (1997); 25 იანვარი – თემურ გაბოძე (1960 – წარმატებული სპორტსმენი თავისუფალ ჭიდაობაში, ამჟამად კასპის საჭიდაო სკოლის მწვრთნელი); 28 იანვარი – ვახტანგ მუმლაური (1951 – ვეტერანი მოჭიდავე, ამჟამად კასპის სპორტკომპლექსის მეთოდისტი); 31 იანვარი – ჯამბულ პაპინაშვილი (1963 – ვეტერანი მოჭიდავე, ძიუდოში საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების წევრების, ამირან და ჯაბა პაპინაშვილების, მამა და პირადი მწვრთნელი)...

გარდაიცვალნენ:

8 იანვარი – ვანო ცინცაძე (2002 – ქ. კასპის ისტორიაში კოლორიტული პიროვნება, თავისუფალი სტილის მოჭიდავე, საქართველოს ნაკრების წევრი); 16 იანვარი – ელგუჯა გეჯაძე (2015 – წარმატებული მოჭიდავე და მწვრთნელი ქართულ ჭიდაობაში, კასპის რაიონის ნაკრების თავკაცი)...

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.



სგურამიდან მირგორამდე

დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის გარდაცვალებიდან 2017 წელს 225 წელი შესრულდა, ამ მნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა 18 დეკემბერს კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლეახალგაზრდობის სახლში ჩატარებული ლექცია "ლამისყანიდან მირგოროდამდე." ღონისძიება მოაწყო მოსწავლეთა სახლის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრემ, რომელსაც ხელმძღვანელობს პედაგოგი ნანა მერებაშვილი.

ლექციის წასაკითხად მოწვეული იყო ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევარი და მთარგმნელი, ჩვენი თანაქალაქელი, ავტორი წიგნისა "ლამისყანიდან მირგოროდამდე" თამარ გაბოძე. შეხვედრა გახსნა მოსწავლეთა სახლის დირექტორმა ლელა პეტრიაშვილმა. მან დამსწრეთ წარუდგინა მომხსენებელი, რომელმაც საინტერესოდ და ამომწურავად ისაუბრა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლისა და პოეტ-დიდაქტიკოსის დავით გურამიშვილის შესახებ.

მომხსენებელმა მსმენელს მკაფიოდ დაუხატა მეთვრამეტე საუკუნის ეპოქის ძნელბედობის ჟამი, რომელიც მგოსანმა თავად განიცადა და ასახა პოემაში "ქართლის ჭირი." ასევე ისაუბრა დ. გურამიშვილის კრებულზე "დავითიანი," რომელიც გამორჩეულია თემატიკით და მრავალფეროვანია როგორც ჟანრობრივად, ასევე ლექსთწყობის ფორმით. თ. გაბოძემ ყურადღება გაამახვილა დავითის პოემაზე "ქაცვია მწყემსი," სადაც აისახა უკრაინული რეალობა და ნათლად ჩანს ავტორის ურთიერთობა უკრაინელ მშრომელ ხალხთან.

— ნახევარ საუკუნეზე მეტი იცხოვრა დავით გურამიშვილმა მირგოროდში. მისი იქ ცხოვრებისა და გარდაცვალების შესახებ პირველი სამი დოკუმენტი აღმოაჩინა და სამამულო ომის წლებში ზურგჩანთით ატარა უკრაინელმა ლიტერატორმა დმიტრო კოსარიკმა, — საუბრობს თამარ გაბოძე, — 1999 წელს საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველმა, ჭაღარა შალვა მარკოზაშვილმა მაჩვენა დ. კოსარიკის საქაღალდე — უკრაინულ ენაზე აღნიშნული მასალებიდან ამოვიკითხე, რომ 12 დოკუმენტი აღმოუჩენია და მათი ზუსტი ჩამონათვალი გამოვაქვეყნე შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის გაზეთში "კალმასობა" /რედაქტორი შ. კვანტალიანი/.

გურამიშვილმა პირველმა ასახა უკრაინელ კალმოსანთაგან თავის შემოქმედებაში უკრაინელი ქალის სახე /"ზუბოვკა"/. ყოველწლიურად 40-45 ათასი დამსვენებელი ეცნობა კურორტ მირგოროდში დ. გურამიშვილის შემოქმედებას. დავითი იქცა მრავალი უკრაინელი შემოქმედის შთაგონების წყაროდ. მისი ცხოვრება და შემოქმედება დაწვრილებით შეისწავლა მეორე უკრაინელმა ლიტერატორმა და მკვლევარმა ლ. როსსოხამ. მირგოროდელმა მხატვარმა ვიქტორ ბრიკულეცმა შექმნა ფერწერული ტილო "დავითის შეხვედრა ზუბოვკელ ქალთან." მისი ესკიზი მხატვარმა ლამისყანის მუზეუმისთვისაც გვაჩუქა დ. გურამიშვილის გარდაცვალების 200 წლისთავზე /1992 წ. /. დავით გურამიშვილი მეორე დიდი ქართველი პოეტია, ვისი შემოქმედებაც უკრაინულ ენაზე უბრწყინვალესად თარგმნა მიკოლა ბაჟანმა — შ. რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელმა, რისთვისაც მას საქართველომ რუსთაველის პრემია მიანიჭა.

ლექციას ესწრებოდნენ მოსწავლეთა სახლის აღსაზრდელები და პედაგოგები, მშობლები. აუდიტორიამ იხილა მდიდარი თვალსაჩინოება, ფოტოდოკუმენტური მასალა, რომელიც ასახავდა ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობას: აქ იყო დავითის უჩა ჯაფარიძისეული პორტრეტი, ლადო გუდიაშვილისეული პორტრეტის ნაქარგი /ნინო კანდელაკის /, დ. გურამიშვილის ამოქარგული ავტოგრაფი /ბ. აბშილავასი/, წიგნები, დავითის მირგოროდის მუზეუმის ბუკლეტები, გზამკვლევები, /თ. გაბოძის ნაჩუქარი ექსპონატებით/, სუვენირები ჩვენი პოეტისა და მუზეუმის გამოსახულებით... მომხსენებელმა უკრაინულ ენაზე გააჟღერა "დავითიანის" ფრაგმენტები და წაიკითხა საკუთარი ლექსები გურამიშვილზე.

სიტყვით გამოვიდნენ პედაგოგები: ციცო შაქარაშვილი, მარინა ნაგელიშვილი, ლალი კალატოზიშვილი, მშობელი ნინო ნონიაშვილი. მათ მადლობა გადაუხადეს თ. გაბოძეს საინტერესო მოხსენებისათვის და შემოქმედებითი წარმატება უსურვეს თანამედროვე მირგოროდელი პოეტების კრებულის თარგმნა-გამოცემაში. დასასრულს, მოსწავლეთა სახლის დირექტორმა ლელა პეტრიაშვილმა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ქალბატონ გიული სოზიაშვილისაგან იუბილარ თამარ გაბოძეს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი, როგორც ერთგულ და აქტიურ მუშაკს.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

"ფრთიანი ფრაზები"-ს კვალდაკვალ

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო ნუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი.

წელიწადის მეხუთე დრო

მუსიკალური -წელიწადის მეხუთე დრო ელოდება ოქვენს გამოხმაურებას. მოიმძიანდით მელაქციაში. გაგვაცანით თქვენი ნაამყოფარი (წამოიღებინეთ ელექტრონული ვერსიას და გააცანით ისინი საზოგადოებას.

კასპის მუსიკალურ სკოლაში

კასპის მუსიკალური სკოლის (დირექტორი შორენა შეშაბერიძე) საზეიმოდ მორთული დარბაზი ძლივს იტევდა შეხვედრაზე შეკრებილ სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ მოსწავლეები და მათი მშობლები, პედაგოგები, მოწვეული სტუმრები.

კლასიკური მუსიკით, საესტრადო სიმღერებით გაჯერებულ და მხიარული ვიქტორინებით დამშვენებულ საშობაო საღამოს ახალი, საინტერესო შემეცნებითი დატვირთვა შესძინა ბავშვების აქტივობამ.

— ყველამ კარგად იცის, რომ მუსიკალურ სასწავლებელში გამართული ნებისმიერი ზეიმი, სასწავლო იქნება თუ საღღესასწაულო, განსაკუთრებულ დატვირთვას, განსხვავებულ ემოციას იძენს, სწორედ ასე მოხდა ახლაც, — აცხადებს მუსიკალური სკოლების სპეციალისტ-კურატორი იზაბელა კობიაშვილი, — დიახ, დღევანდელი საშობაო კონცერტი, რომელიც ერთობლივად მომზადდა ძალიან საინტერესო, ამავე დროს მრავალფეროვანიც იყო.

ზეიმზე ერთმანეთს ენაცვლებოდა სხვადასხვა ჟანრის ნომრები საესტრადო სიმღერები (შეასრულეს ანამარია ნონიაშვილმა და გიორგი ჟივიძემ) /პედაგოგი ნინო ხუციშვილი/, ფოლკლორი /პედაგოგი გიორგი ხასიშვილი/. იყო კლასიკური, საოპერო /მუსიკოს-შემსრულებელი ქეთევან გაჩეჩილაძე/ მუსიკაც.

ახალქალაქის მუსიკალურ სკოლაში

ახალქალაქის მუსიკალური სკოლის საახალწლოდ მორთულ დარბაზს კიდევ უფრო ალამაზებდა და ამშვენებდა საზეიმო სამოსში გამოწყობილი გოგო-ბიჭების გამოჩენა. კონცერტი, რომელიც მოსწავლეების ძალებით ჩატარდა, დიდხანს გაგრძელდა, მონაწილეობდა სასწავლებლის თითქმის ყველა ბავშვი, იყო არაჩვეულებრივად მომზადებული მუსიკალური ნომრები, მუსიკასა და ცეკვა-თამაშს ღირსეულ "მეტოქეობას" უწევდა მხატვრული კითხვა. სხვათა შორის, ამ თვენახევრის წინ გაიხსნა სკოლაში მხატვრული კითხვის წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოცდილი პედაგოგი ლელა ალიმბარაშვილი და აქ, უკვე ბევრი მოსწავლე გაერთიანდა...

სულიერების გაღასარჩენად

შეხვედრები, შეხვედრები...

საახალწლო კონცერტში მონაწილეობდნენ პედაგოგ თამრიკო ბახტაძის მიერ მომზადებული მოსწავლეები: რამაზ საფაროვი, ნინო გერმისაშვილი, ანანო მჭედლიშვილი, მაია ხუციშვილი, მარიამ ზაალიშვილი, ნინო ციცქიშვილი, ლევან ნარიმანიძე, ნინო მძინარიშვილი.

საახალწლო ზეიმს უძღვებოდა ულამაზესი ფერია ანი კობაიძე, რომელმაც ყველას დაამახსოვრა თავი ორიგინალობითა და მომხიბვლელობით.

დაბოლოს, კონცერტის მონაწილეებსა და მოწვეულ სტუმრებს მიესალმა, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა სკოლის დირექტორმა ლია ნაზარაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა პედაგოგებს, მოსწავლეებს აქტიურობისა და ორგანიზებულობისათვის... საახალწლო ღონისძიებას სტუმრობდა კასპის მუსიკალური სკოლების სპეციალისტ-კურატორი იზაბელა კობიაშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

გილოცავთ!

ჯასპის მუნიციპალიტეტის სოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების აპარატის თანამშრომლები დაბადების დღეს ვულოცავთ დირექტორს ქალბატონ მანანა ხვთისიაშვილს. ვუსურვებთ ყოველივე ჯარგს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ჯავჯასიურ ჯანმრთელობას და ულევ ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

თუ მშობლებს არ სწავლიათ

ალქვეშა სასახლეებსა და მალულ საგანძურზე...

წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუწყლებლად უნდა გამოიწეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს.

„კეხურა„

კარგა ხანია ვწდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სწავლიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იწით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, ნუ-

ვუცნობილი, უცნაური, შეუცნობელი

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი." ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

გამოგვეხმაურეთ!

გვნცხვლებს

კასპის ცემენტის ქარხანას ესაჭიროება დაცვის თანამშრომლები. დაგვიკავშირდით ტელ. № 599796010.

გამოგვეხმაურეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელებულ ყვავილოვ ცვჯვრით თუ ყირძი ცოლოვნ ვაძლევთ შეცვძლებლობვნ გვზეთის ცვმუალებით თვრთთ მეთხველნ გვვცნონ ცვყოთვრი ცოლოვნ ინტერესიან ლა ვწყო.

2017-2018 ცვნწავლო წლიან გვნმვლობვში შეცვძლებლობვ გვქვთ გვზეთში გამოვქვეყნოთ მშობლიური ცოლოვნ მიოწეები, გვზეთიან თურცლებიან მეშვეობით ცვჯვრთ გვხვლოთ თქვენი პრობლემები, ლანცხოთ ცოლოვნ ცვცურეული ცვმომვლო გეგმები, ყველანვ გვვცნოთ ლოვწლომილი, ვხვლოგვზრლა თუ ვხვლებელა ჰეფლგეგები, გვაამბეთ ცვლ ლა რიგთრ ცწავლობთ, რითი ვმეყობთ, რა გცურთ...

გვვცვნით თვნვრთვიობელებნ თქვენი ყურცლამთვრებული მეტენვცები, რომლებიც ვრ ივიწყებენ ვლომვ-მვცენრნ.

ცხოვრებიან ცვყეთიცლ ლა ყმშვენიერნ წლებნ ვვცვრებთ ცოლოვში ლა გვინლა, რომ იქ გვცვრებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წვრმვცებული, ლაყვინწყრი.

გამოსათხოვარი

ნოდარ მახარაძე

ჩვენო ნოდარ, ძვირფასო, ერთგულო და უსაზღვროდ მოსიყვარულე ადამიანო, თურმე, რა ძნელი ყოფილა უშენობა... წახვედი და დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი, მწუხარება, აუხდენელი მონატრების გრძნობა. ჩვენო ნოდარ, ჩვენო საყვარელო ადამიანო, ჩვენგან წახვედი უფლის სამეფოში, შენი სახელიც დაიწერა ცათა შინა... ჯერ ორმოცი დღეც არ გასულა შენი დაკარგვიდან, გვგონია, რომ თითქოს, ისევ აქ ხარ, ჩვენს გვერდით, შენს დიდ ოჯახში, სადაც ჯერ კიდევ ტრიალებს შენი ნათელი სული...

შენით ამაყობს ოჯახი და საახლობლო, შენი სიცოცხლის გადასარჩენად ხომ უშურველად იბრძოდნენ შენი შვილები, ახლობლები, უახლოესი მეგობრები. შენ ხომ ყველა გიყვარდა, ყველასთვის სიკეთე გემეტებოდა და ყველა გრძნობდა შენს ამ დიდ სიყვარულს და გულითადობას, ამიტომ უყვარდი ყველას, პატივს გცემდა დიდი თუ პატარა.

ჩვენო ნოდარ, რამდენი ხანიც უნდა გავიდეს, ვერ შევძლებთ შენს დავიწყებას, შენს სამყოფელს არასოდეს მოაკლდება გულწრფელი ცრემლი და წმინდა სანთელი... უფლის წინაშე ვილოცებთ შენი ლამაზი სულის გადასარჩენად.

"სულთა-თანა აღსრულებულთა მართალსა, საუკუნოდ იყავნ ხსენება ამისა"...

ოჯახი.

Facebook ციფაფა

მთელი ცხოვრება ვაკვირდები განათლებულ ადამიანებს და იცით რა აღმოვაჩინე? მათ გააჩნიათ მინიმალური თვითმოთხოვნილებები და მაქსიმალური ვალდებულებები. განათლებულ ადამიანებს არ ახასიათებს საწყისი ცხოველური ინსტიქტები და იმდენად ნატურალურები არიან, გული თვალებში უციმციმებთ... განათლებული ადამიანი ვერასდროს განიცდის პირად კეთილდღეობას და ბედნიერებას, თუ მის ქალაქში, სოფელში, ქუჩაში, ხელგამოწვდილი მოხუცი, ან ბავშვი მათხოვრობს. მათ ამ დროს ამაყად თავაწეული სიარულის რცხვენიათ... განათლებული ადამიანი უგუნური კაცის სისულელეზე იღიმება, მაგრამ მას არასოდეს დასცინის... მათ არ უყვართ კამათი იდიოტებთან, რადგან იციან, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც თავხედს და უტიფარს გამარჯვების გვირგვინს ადგამენ...

განათლებული ადამიანი იმდენად ნატურალურია, მას გული თვალებში უციმციმებს.

ანტუან დე სენტ ეგზიუპერი.

„ახალი განთიავლი„ იძებნ ცვინტერესებელ ცოლოვებნ რეალურნ ცვგზეთო ოთოდ-მეტიანნ შეცვჯნილოვდ. თხოვნით მივმართოვთ თანცრეალურებნ - ლაფოვეთ თქვენი ყველი ჩვენ მეტიანნში! გამოგვიგზავნეთ ცვინტერესებელი ლა ცხალიანი ოთოტები!

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული საბჭო (თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი) სამძიმარს უცხადებს კასპის მეორე საჯარო სკოლის დირექტორს ოლია მახარაძეს მეუღლის ნოდარ მახარაძის გარდაცვალების გამო.

დალი კორკომაშვილი და დავით გურასპაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ნოდარ მახარაძე და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კასპის №2 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი სამძიმარს უცხადებს სკოლის დირექტორს ოლია მახარაძეს მეუღლის ნოდარ მახარაძის გარდაცვალების გამო.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კასპის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური სამძიმარს უცხადებს ოჯახს ნოდარ მახარაძის გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი საბაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76